საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №43/21
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2021 წლის 12 აპრილის №43 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 20 აპრილს №137/43-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 10 ივნისის №43/21 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- --, -- -- სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის პროცესში განახორციელა ქმედებები, რომლებიც შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. კერძოდ:

- 2021 წლის 8 აპრილის სასამართლოს სხდომაზე, მოსამართლემ თარჯიმნის მიმართ გასცა უკანონო მითითება თარგმანის შემოკლების შესახებ;
- 2021 წლის 8 აპრილის სასამართლო სხდომაზე, მოსამართლემ დაცვის მხარე დაამცირა და აიძულა არასამუშაო დღეს სასამართლო სხდომაზე გამოცხადება;
- სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, მოსამართლე დაცვის მხარეს ხელოვნურად შეუზღუდა დრო და არ მისცა მოწმეების დაკითხვის შესაძლებლობა;
- მოსამართლემ არასერიოზულ დამოკიდებულება გამოიჩინა დაცვის მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი არგუმენტების მიმართ და ბრალდების მხარისგან განსხვავებით, დაცვის მხარე ჩააყენა არათანაბარ მდგომარეობაში.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის 24 ნოემბერს, სისხლის სამართლის საქმე -- -- მიმართ არსებითად განსახილველად გადაეცა -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- --. სისხლის სამართლის საქმე განიხილებოდა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით.

სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ფარგლებში სასამართლო სხდომები გაიმართა: 26.11.2020; 28.12.2020; 11.01.2021; 21.01.2021; 01.02.2021; 12.02.2021; 22.03.2021; 04.03.2021; 16.03.2021;

26.03.2021; 06.04.2021; 08.04.2021; 09.04.2021; 10.04.2021; 11.04.2021; 12.04.2021; 13.04.2021; 14.04.2021; 15.04.2021.

სასამართლოს სხდომის აუდიო ჩანაწერის დეტალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2021 წლის 8 აპრილის, მოსამართლის -- -- თავმჯდომარეობით, გაიმართა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი. სხდომა გაიხსნა 12:59 საათზე. სხდომაზე ნაფიც მსაჯულობის 15 კანდიდატი გამოცხადდა. სასამართლო სხდომას, პროცესის სხვა მონაწილეებთან ერთად, ესწრებოდა თარჯიმანი (ბრალდებული გახლდათ უცხო ქვეყნის მოქალაქე და არ იცოდა პროცესის ენა).

სასამართლო სხდომის 13:00:49 საათზე, მოსამართლემ თარჯიმანს განუმარტა მისი უფლება-მოვალეობები და შეახსენა, რომ იგი ვალდებული იყო სასამართლო პროცესის მიმდინარეობა ეთარგმნა სწორად, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ გამოყენებული იქნებოდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

2021 წლის 8 აპრილის სასამართლო სხდომის 13:08 საათზე, დასრულდა ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცესი და მოსამართლემ საქმის არსებითი განხილვის სხდომა ჩანიშნა იმავე დღეს.

საქმის არსებითი განხილვა განახლდა 2021 წლის 8 აპრილის 13:21 საათიდან. სასამართლო სხდომის 13:29 წუთზე, მოსამართლემ ნაფიცი მსაჯულებს გადასცა განმარტებები პროცესში გამოსაყენებელი კანონის შესახებ. ამასთან, 13:31 წუთზე, კანონის განმარტებების ნაფიც მსაჯულებისთვის გაცნობის მიზნით მოსამართლემ დაიწყო მათი საჯაროდ წაკითხვა.

კანონის განმარტებების საჯაროდ წაკითხვის პროცესში, 13:46 საათზე, თარჯიმანმა შეაჩერა მოსამართლე და განაცხადა, რომ ვერ ასწრებდა კანონის განმარტებების ბრალდებულისთვის გადათარგმნას. მოსამართლემ, ზემოაღნიშნულის პასუხად თარჯიმანს მიმართა შემდეგი სიტყვებით: ,,ნელ-ნელა გადაუთარგმნეთ... ეს არის განმარტება ნაფიცი მსაჯულებისთვის... შესაბამისად, შეგიძლიათ ბრალდებულის მიმართ გადათარგმნოთ მოკლედ, პერიოდულად... ვინაიდან კანონის განმარტება გადაცემული აქვს დაცვის მხარეს... ეს არ ჩაითვლება ბრალდებულის მიმართ რაიმე დარღვევად.. მიუხედავად იმისა ეხლა დაცვის მხარე რა პოზიციას დააყენებს.“

მოსამართლის აღნიშნულ განმარტებაზე, დაცვის მხარემ განაცხადა პროტესტი, თუმცა ადვოკატების პროტესტის მიუხედავად, სასამართლო სხდომა გაგრძელდა.

მხარეების მიერ შესავალი სიტყვის დასრულების შემდეგ, 15:13 წუთზე სხდომა დაიხურა და მომდევნო სასამართლო სხდომა ჩაინიშნა იმავე დღეს 15:30 საათზე. 2021 წლის 8 აპრილის სასამართლო სხდომა გაგრძელდა 16:00 საათზე. 19:13 საათზე, სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. საქმის განხილვა გაგრძელდა 19:35 საათზე და დასრულდა 20:52 საათზე. მოსამართლე -- -- გადაწყვეტილებით, მომდევნო სასამართლო სხდომა ჩაინიშნა 2021 წლის 9 აპრილს 12:00 საათზე.

მოსამართლის მიერ განსაზღვრული სხდომის თარიღი გააპროტესტა ბრალდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა -- -- და აღნიშნა, რომ 9 აპრილი იყო უქმე დღე. შესაბამისად, „ვერანაირად ვერ გამოცხადდებოდა“ მომდევნო სასამართლო სხდომაზე. ადვოკატის აღნიშნული განმარტების პასუხად, მოსამართლემ განმარტა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი მიმდინარეობს უწყვეტად. შესაბამისად, სხდომა ჩანიშნა 9 აპრილს. ამასთან, თუკი ადვოკატები არ გამოცხადდებოდნენ მომდევნო სასამართლო სხდომაზე, სასამართლო მათ მიმართ გამოიყენებდა კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებას.

-- -- სასამართლოს მოსამართლის -- -- 2021 წლის 15 აპრილის განაჩენით (ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტის საფუძველზე) -- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელის სახედ განესაზღვრა 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 10 ივნისის დასკვნა:

-- -- 2021 წლის 12 აპრილის №43 საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად, არ იკვეთება მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნები.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ ბრალეული ქმედების ჩადენისთვის, ანუ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ობიექტურად შეეძლო დისციპლინური გადაცდომის თავიდან ასაცილებლად სათანადო ქმედების განხორციელება, მაგრამ არ განუხორციელებია ის.[1]

განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დადგინდეს იკვეთება თუ არა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ნიშნები. კერძოდ, ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მხრიდან ისეთი ქმედების ჩადენას, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას.

ზემოაღნიშნულ დისციპლინურ გადაცდომის სრულყოფილად გააზრებისა და შეფასების მიზნით, მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც განსაზღვრავს მოსამართლის სტატუსთან შესაბამის ქცევას. კერძოდ, საქართველოს სამოსამართო ეთიკის წესების თანახმად, კომპენტენტურობა, გულისხმიერება და სამართლიანობა სამოსამართლო ფუნქციების ჯეროვნად განხორციელების წინაპირობებია.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნის 23-24 პუნქტების თანახმად, მოსამართლეებმა პატივისცემა უნდა გამოიჩინონ საქმის მონაწილე ყველა პირისადმი (მაგ., საქმის მხარეები, მოწმეები, ადვოკატი) რაიმე სახის განსხვავების გარეშე, რომელიც კანონს არ ეფუძნება ან შეუთავსებელია სამოსამართლო ფუნქციების ჯეროვნად შესრულებასთან. თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, მოსამართლეებმა უნდა იმოქმედონ ისე, რომ მათი პროფესიული კომპეტენტურობა თვალსაჩინო იყოს. მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ჯეროვნად და დაიცვან მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თავიდან აიცილონ რაიმე სახის მიკერძოება და დისკრიმინაცია, და შეინარჩუნონ ბალანსი მხარეებს შორის და უზრუნველყონ საქმის სამართლიანი განხილვა თითოეული მხარისათვის.

„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებისა“ და მისი კომენტარების მე-2 ღირებულების 2.2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის ქცევა სასამართლო სხდომის მსვლელობისას და სასამართლოს შენობის გარეთ ხელს უნდა უწყობდეს და ამაღლებდეს საზოგადოების, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა და სასამართლო პროცესის მხარეთა ნდობის ამაღლებას მოსამართლეთა და სასამართლო ორგანოთა მიუკერძოებლობისადმი, ხოლო მე-3 ღირებულების 3.2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის ქმედებები და ქცევა უნდა განუმტკიცებდეს საზოგადოებას სასამართლოს პატიოსნების რწმენას. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ ასევე უნდა არსებობდეს აღქმა საზოგადოებაში, რომ მართლმსაჯულება აღსრულდა.

[1] იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტი

ვინაიდან დისციპლინური საჩივრის ერთ-ერთი ნაწილი შეეხება ბრალდებულის მიერ თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის შესაძლო შეზღუდვის ფაქტს, ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებაში დადგენილ პრაქტიკაზე.

კერძოდ, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი მიუთითებს, თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლება წარმოიქმნება უმთავრესად სასამართლო განხილვის დროს. ჩვეულებრივ, უნდა ითარგმნოს მთლიანი სასამართლო განხილვა და არა მხოლოდ ბრალდებულისთვის დასმული კითხვები და მისი პასუხები. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თავიდან ბოლომდე თვალ-ყური ადევნოს სასამართლო განხილვას და გაიგოს თითოეული წინადადების აზრი, იმ შემთხვევაშიც, თუ მას პირდაპირ არ უკავშირდება.[2]

თუმცა წერილობით მასალებთან დაკავშირებით მაინც ვაწყდებით გარკვეულ შეზღუდვებს. სათარგმნი მასალების ნუსხაში შედის სისხლის სამართალწარმოებასთან კავშირში მყოფი არა ყველა, არამედ მხოლოდ ის დოკუმენტები, რომლის შინაარსის გაგება და სასამართლოს ენასთან შეგუებაც აუცილებელია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით სარგებლობისათვის. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელს ექმნება პრობლემები. მან უნდა დაამტკიცოს, რომ მას ან მის დაცვას ხელი შეეშალა იმ ფაქტის გამო, რომ რამდენიმე დოკუმენტი არ იქნა ნათარგმნი.[3]

კამასინსკი ავსტრიის წინააღმდეგ (Kamasinski v. Austria) საქმეში, განმცხადებელს არ უთარგმნეს ის განაჩენი, რომლის გასაჩივრებასაც აპირებდა. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ „მისთვის მიცემული ზეპირი განმარტებების შედეგად, [განმცხადებელმა] საკმარისად კარგად გაიგო განაჩენის შინაარსი და არგუმენტაცია, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა დამცველის დახმარებით შეედგინა სააპელაციო საჩივარი სასჯელის წინააღმდეგ და განცხადება გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რომლითაც ასაჩივრებდა სასამართლო განხილვისა და განაჩენის მრავალ ასპექტს.[4]

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად:

- სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება ქართულ ენაზე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე. პროცესის მონაწილეს, რომელმაც არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ამ კოდექსით დადგენილი წესით დაენიშნება თარჯიმანი.[5]
- თარჯიმანს იძახებენ, როცა: ა) პროცესის მონაწილემ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა; ბ) საჭიროა სისხლის სამართლის პროცესის ენაზე ითარგმნოს ტექსტი; გ) პროცესის მონაწილეს აქვს შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვა, რაც ჟესტური ენის გარეშე მასთან კომუნიკაციას გამორიცხავს. თარჯიმანი ვალდებულია ზუსტად და სრულად თარგმნოს ჩვენება და დოკუმენტი.[6]
- სასამართლო განხილვა მიმდინარეობს უწყვეტად, გარდა შესვენებისათვის საჭირო დროისა.[7]
- 18 საათის შემდეგ შესაძლებელია სასამართლომ მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გადადოს საქმის განხილვა.[8]
- ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს საქმის განხილვის დღეს, რომელიც უნდა იყოს არა უგვიანეს შერჩევის პროცედურის დასრულებიდან მესამე დღისა.[9]
- სხდომის გახსნისას და სათათბირო ოთახში გასვლამდე სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აძლევს განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე. სხდომის თავმჯდომარის განმარ-

[2] იხ. თარჯიმნის დახამრებით სარგებლობის უფლების საერთაშორისო სტანდარტები, გვ. 5-6 http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/tarjimnis-ufleba.pdf [30.01.2023]

[3] იქვე, გვ 8

[4] იქვე.

[5] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი

[6] იქვე, 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი

[7] იქვე, 185-ე მუხლის მე-2 ნაწილი

[8] იქვე, 185-ე მუხლის მე-3 ნაწილი

[9] იქვე, 224-ე მუხლის მე-3 ნაწილი

ტებები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, ამ კოდექსს და საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებს. ეს განმარტებები ნაფიც მსაჯულებს წერილობითაც გადაეცემათ. აღნიშნული განმარტებები წერილობითი სახით გონივრული ვადით ადრე უნდა გადაეცეთ მხარეებს.[10]

მოცემულ შემთხვევაში, დისციპლინური საჩივრის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საჩივრის ავტორის განცხადება ბრალდებულის მიერ თარჯიმნით სარგებლობის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, შეეხებოდა ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოსაყენებელი კანონის თარგმნასთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ გაკეთებულ განმარტებებს.

2021 წლის 8 აპრილის სასამართლო სხდომის აუდიოოქმით დასტურდება, რომ მოსამართლემ თარჯიმანს მისცა მითითება ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოსაყენებელი კანონის განმარტებების ბრალდებულისთვის არასრულად გადათარგმნის შესახებ, თუმცა გასათავლისწინებელია ის გარემოება პროცესის გამართვამდე კანონის განმარტებები გადაცემული ჰქონდათ მხარეებს. ამასთან, საქმის მასალების შესწავლის შედეგად არ დგინდება, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლო პროცესის შესაძლო არასრულყოფილმა თარგმნამ ხელი შეუშალა დაცვის მხარეს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით სარგებლობაში.

4.2. საჩივრის ავტორი ასევე უთითებდა, რომ მოსამართლემ დაცვის მხარე აიძულა სასამართლოში გამოცხადებულიყო არასამუშაო დღეს. აღნიშნულთან მიმართებით უნდა განიმარტოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არ განსაზღვრავს არასამუშაო დღეებს. საპროცესო კოდექსი ადგენს საქმის განხილვის უწყვეტად განხილვის წესს.

საქართველოს სსს კოდექსის 185-ე მუხლი მე-2 ნაწილის თანახმად, „სასამართლო განხილვა მიმდინარეობს უწყვეტად, გარდა შესვენებისათვის საჭირო დროისა. სასამართლოში საქმის განხილვის გადადება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით შესაძლებელია მხოლოდ მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, მხარის, მოწმის ან თარჯიმნის გამოუცხადებლობის, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, აგრეთვე ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში. საქმის განხილვის გადადების პერიოდში სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს სხვა სისხლის სამართლის საქმე (შუამდგომლობა, საჩივარი)“.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს განიხილავდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რაც კიდევ უფრო არსებით ხასიათს ანიჭებს საქმის უწყვეტად განხილვის წესს, ვინაიდან ნაფიც მსაჯულებზე, გარეშე სუბიექტების მხრიდან არსებობს ზეგავლენის მოხდენის საშიშროება.

გარდა, ამისა, წარმოდენილ მსჯელობას ამყარებს ის ფაქტიც, რომ ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის არსებითად განხილვის დაწყების დღიდან (2021 წლის 8 აპრილი) სასამართლო განხილვის უწყვეტობა დაცულია (სხდომები გაიმართა შემდეგი თანმიმდევრობით: 08.04.2021; 09.04.2021; 10.04.2021; 11.04.2021; 12.04.2021; 13.04.2021; 14.04.2021; 15.04.2021). სასამართლო განხილვა დასრულდა 8 დღეში.

რაც შეეხება, საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ მოსაზრებებს, რომ მოსამართლემ დაცვის მხარეს ხელოვნურად შეუზღუდა დრო და არ მისცა მოწმეების დაკითხვის შესაძლებლობა, არასერიოზული დამოკიდებულება გამოიჩინა დაცვის მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი არგუმენტების მიმართ და ბრალდების მხარისგან განსხვავებით, დაცვის მხარე ჩააყენა არათანაბარ მდგომარეობაში, საქმის მასალების შესწავლის შედეგად აღნიშნული ფაქტი არ გამოვლინდა.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლე -- -- ქმედებები არ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას

[10] იქვე, 231-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები

მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75[12] მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №43/21 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი